

სარიტუალო დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.
2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური.
3. პროგრამის მიზანი:
 - ა) სოციალურად დაუცველ გარდაცვლილთა ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების გაწევა;
 - ბ) ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე გარდაცვლილთა ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების გაწევა;
 - გ) „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ და „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შედეგად გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონებით დელეგირებული ვალდებულებების ფარგლებში, გარდაცვლილი ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა.
 - დ) გარდაცვლილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა.
 - ე) უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის გამღები პირისათვის მატერიალური დახმარების გაწევა.
4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
 - ა) სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 1-დან 70000-ის ჩათვლით, ხოლო არასრულწლოვან გარდაცვლილზე 1-დან 120000-ის ჩათვლით) გარდაცვლილის დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით;
 - ბ) გარდაცვლილი ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილის დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
 - გ) გარდაცვლილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ოჯახის წევრზე ან დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
 - დ) გარდაცვლილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების დაკრძალვის ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
 - ე) უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
გარდაცვლილი, გარდაცვალებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად უნდა იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. დახმარების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტები:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს: გარდაცვალების ცნობა, დასაფლავების ხარჯების გაწევის დამადასტურებელი ცნობა, დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა (ასლი), საბანკო რეკვიზიტი, გარდაცვლილის პირადობის მოწმობა (ასლი), გარდაცვლილის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან.

ბ) ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს: გარდაცვალების ცნობა, დასაფლავების ხარჯების გაწევის დამადასტურებელი ცნობა, დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა (ასლი), საბანკო რეკვიზიტი, გარდაცვლილის პირადობის მოწმობა (ასლი), დამადასტურებელი მოწმობა, რომ გარდაცვლილი იყო ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე.

გ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების გარდაცვალების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს: გარდაცვალების ცნობა (ასლი), დასაფლავების ხარჯის გაწევის დამადასტურებელი ცნობა, დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა (ასლი), საბანკო რეკვიზიტი, გარდაცვლილის პირადობის მოწმობა (ასლი), ვეტერანობის მოწმობა (ასლი) ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა (ასლი). იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით, ასევე წარმოდგენილ უნდა იქნეს ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან (ოჯახის სარეიტინგო ქულა).

დ) უჭირისუფლო პირის გარდაცვალების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს: გარდაცვალების ცნობა, დასაფლავების ხარჯების გაწევის დამადასტურებელი ცნობა, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელის შუამდგომლობა გარდაცვლილის უპატრონობის შესახებ ან აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი სხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი, დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა (ასლი), საბანკო რეკვიზიტი.

ე) საჭიროების შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:

გარდაცვლილთა ოჯახების დახმარება.

8. შეფასების კრიტერიუმი:

გარდაცვლილთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.